

31/01/2025



MES 5 25 0000091535

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 17. 01. 2024

სხდომის დაწყების დრო: 14:00

სხდომის დასრულების დრო: 18:33

საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 27² მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **თამარ ლომინაძე** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **დავით ტეფნაძე** - შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **გიორგი ლაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
6. **აკაკი ხელაძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

8. **თამარ ტუფინაშვილი** – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
9. **ქეთევან ქუთათელაძე** – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
10. **დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
11. **ხათუნა თოღაძე** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
12. **ვასილ კიკუტაძე** – შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
13. **დიანა მჭედლიშვილი** – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
14. **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
15. **მაგდა ბოლოთაშვილი** – სსკ – საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე, დამსაქმებელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები (სახელი, გვარი, პოზიცია)

1. **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. **ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
3. **ანა ჯავახიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები (დაწესებულება, სახელი, გვარი, პოზიცია)

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1. ლარისა ტაკალანძე - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
2. დავით ჯალაღონია - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
3. გიორგი ბერულავა - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
4. ირმა დიხამინჯია - ასოცირებული პროფესორი, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
5. რომეო გალდავა - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. მარინე ხუბუა - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
7. კახი კოპალიანი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
8. ნინო ქეცბაია - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი:

1. გიორგი მახარაშვილი - პრორექტორი ადმინისტრაციის დარგში
2. სალომე კუჭუხიძე - პრორექტორი სასწავლო დარგში
3. ნინო ჯოჯუა - პრორექტორი ხარისხის დარგში
4. თეა კბილცეცხლაშვილი - პრორექტორი კვლევის დარგში

5. ანა გვრიტიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
6. დავით ცირამუა - სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
7. ნინო ტალიკაძე - პროგრამის ხელმძღვანელი
8. დარა აჰმედ - ბიზნესის სკოლის დეკანი
9. მაია მელიქიძე - პროგრამის ხელმძღვანელი
10. ნია თოდუა - პროგრამის ხელმძღვანელი
11. მაკა ბუღულაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი
12. მეთინ მერჯან - პროგრამის ხელმძღვანელი

აკრედიტაციის ექსპერტები, საკითხი, რომლის შეფასებაშიც მონაწილეობდა

I საკითხი:

- ა) მუჰამედ აბდულ რაუფი (Muhammad Abdul Rauf) (თავმჯდომარე);
- ბ) ეკატერინე ნაცვლიშვილი (წევრი);
- გ) ეკა გეგეშიძე (წევრი);
- დ) ია ნაცვლიშვილი (წევრი);
- ე) ვაჟა კელიხაშვილი (წევრი).

II საკითხი:

- ა) მუჰამედ აბდულ რაუფი (Muhammad Abdul Rauf) (თავმჯდომარე);
- ბ) მედეა ჭელიძე (წევრი);
- გ) ნათია დაღელიშვილი (წევრი);
- დ) თამარ კბილაძე (წევრი);
- ე) ქეთევან ქავთარაძე (წევრი);
- ვ) გიგა ხოსიტაშვილი (წევრი);
- ზ) გიორგი გვენეტაძე (წევრი).

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომა გახსნა და უხელმძღვანელა თამარ ლომინაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის (ინგლისურენოვანი)" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი)" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის

(ინგლისურენოვანი)” საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების" საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები (ინგლისურენოვანი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის (ინგლისურენოვანი)" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი)" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის (ინგლისურენოვანი)" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების" საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები (ინგლისურენოვანი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საქმის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, მ. აბდულ რაუფი (M. Abdul Rauf), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა დასკვნაში მოცემულ იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც ორივე პროგრამასთან მიმართებით ზოგადი სახით იყო გაცემული. მისი თქმით, საერთო ჯამში ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პროგრამები არის სრულად განხორციელებადი იმ პირობით თუ დაწესებულება გაიზიარებს ყველა იმ რეკომენდაციას, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ

გაიცა როგორც კლასტერული, ისე ცალკეული პროგრამების სახით. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ცალკეული სტანდარტები პროგრამებთან მიმართებით იყო როგორც სრული, ისე მეტწილად შესაბამისობაში. დაწესებულებას თითოეული რეკომენდაციის გათვალისწინება შეუძლია. ამრიგად, ის მიგნებები და რეკომენდაციები, რომლებიც გაცემული იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ემსახურებოდა მხოლოდ პროგრამების განვითარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ინსტიტუციის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები ექსპერტთა დასკვნის მიმართ.

დაწესებულების წარმომადგენელი, რომელი გალდავა, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას. უნივერსიტეტი გამოთქვამდა მზაობას თითოეული რეკომენდაციის შესრულების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ, არსებობის შემთხვევაში, კითხვები და მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით მისასალმებელია, რადგან ეს რეკომენდაციები ღირებულია. სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი სასწავლო კურსები ისწავლებოდა, მათ შორის „ემპირიული მონაცემთა ანალიზი“ და „სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება“. მას აინტერესებდა, აჯობებდა თუ არა „სტატისტიკური ანალიზისა და პროგნოზირების“ უფრო ადრე სწავლება. მისი თქმით, „ემპირიულ მონაცემთა ანალიზი“ პრაქტიკულად არის ეკონომეტრიკა. თუ ამ სასწავლო კურსს გადის სტუდენტი, მაშინ ეს ნიშნავს იმას, რომ მას უკვე ცოდნა სტატისტიკის შესახებ უკვე აქვს და უფრო მეტიც, წინ არის წასული. შესაბამისად, აღნიშნული სასწავლო კურსის შეთავაზება არჩევითი კურსის სახით არარელევანტურია. დაწესებულების წარმომადგენელმა, რომელი გალდავამ განაცხადა, რომ როდესაც პროგრამამ 2018 წელს გაიარა აკრედიტაცია, საერთაშორისო ექსპერტმა სტატისტიკის კურსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს კურსი იყო ძალიან მათემატიზირებული. დაწესებულებამ ექსპერტის ეს შენიშვნა სრულად გაიზიარა. მისი თქმით, „ემპირიულ მონაცემთა ანალიზში“ ხდება გარკვეული საკითხების გამეორება. მან აღნიშნა, რომ გოჩა თუთბერიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე უნივერსიტეტი დაფიქრდებოდა და პროცესის წარმართვის ხარისხის შესაბამისად იმოქმედებდა.

გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში იყო ტექნიკური ხარვეზები. შესაბამისად, კარგი იქნებოდა თუ უნივერსიტეტი ამ საკითხს მიაქცევდა ყურადღებას.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, კერძოდ, დამსაქმებლების კვლევის მიმართულებით. მისი თქმით, შრომის ბაზრის კვლევასთან მიმართებით მონაცემები არის გასული პერიოდის, ძირითადად მოძველებული. მას აინტერესებდა, რომელი წლის კვლევა იყო წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რომელი გალდავამ, განაცხადა, რომ გარე კომპანიისთვის კვლევა შეკვეთილი იყო 2023 წლის დასაწყისში.

დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის ბიუჯეტში, კერძოდ, ხარჯვით ნაწილში არ იყო გათვალისწინებული აკადემიური რესურსის ანაზღაურება. იგი ფაკულტეტის ბიუჯეტში იყო მოცემული. მას აინტერესებდა, ფაკულტეტის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი პროგრამებთან ბმული იყო თუ ფაკულტეტის ბიუჯეტში ცენტრალური ბიუჯეტიდან ხდებოდა ასიგნება.

რომელი გალდავამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი ამ თვალსაზრისით არ იყო დიდი. მისი თქმით, ფაკულტეტებს გააჩნიათ საკუთარი ბიუჯეტი, რომლიდანაც ხდებოდა არსებული ხარჯების გათვალისწინება. საჭიროების შემთხვევაში საჭირო თანხების გამოყოფა ხდება ცენტრალური ბიუჯეტიდან. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტი თვითკმარი იყო.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, 1.1. სტანდარტში მოცემული რეკომენდაცია თავისი შინაარსით წარმოადგენდა თუ არა რეკომენდაციას. მან აღნიშნა, რომ დროის სიმცირის გამო არ ჰქონდა შესაძლებლობა დასკვნის ინგლისური ვარიანტის გაცნობისთვის.

ექსპერტმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებას ვერ ურჩევდა პროგრამაში სასწავლო კურსების დამატებას იმიტომ, რომ ძირითად სწავლის სფეროებში მოქცეულია ის კურსები, რომლებიც დარგობრივ მახასიათებელს შეესაბამება. უმჯობესი იქნება ცალკეულ კურსებში, კერძოდ, იქ სადაც საუბარია ინოვაციურ მეწარმეობაზე, ინოვაციურ მენეჯმენტზე და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაზე, ყურადღება გამახვილდეს ამ რეკომენდაციაში მოცემული თემატიკის ინტეგრაციაზე. არჩევით კურსებად დაწესებულებამ სტუდენტს შეიძლება შესთავაზოს ცალკეული კურსები.

საერთაშორისო ექსპერტმა, მ. აბდულ რაუფიმ (M. Abdul Rauf), აღნიშნა რომ აღნიშნული რეკომენდაცია გაცემული უნდა ყოფილიყო იმ სახით, როგორიც დასკვნაშია მოცემული.

ეკატერინე ნაცვლიშვილმა დასძინა, რომ ეს არის რეკომენდაცია და არა რჩევა იმიტომ, რომ იმ სწავლის შედეგის მიღწევისთვის, რომელიც პროგრამით არის გათვალისწინებული, ეს იქნებოდა მიზანშეწონილი.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, დასკვნაში არის შემდეგი ჩანაწერი: „ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები სრულ შესაბამისობაშია 1.4 სტანდარტში მოცემულ მოთხოვნებთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“. მისი თქმით, ამ სტანდარტის მიმართ გაცემულია რეკომენდაციები და შეფასება შეცვლილია. მას აინტერესებდა, იყო თუ არა ეს ტექნიკური ხარვეზი.

ვასილ კიკუტაძემ 1.5.1. რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაზრდას, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ამ მიმართულებით ჰქონდა ფართოდ წარმოდგენილი სტატისტიკა. მას აინტერესებდა, რა იგულისხმებოდა ამ რეკომენდაციაში, რა კუთხით საჭიროებდა უკვე არსებული შედეგი გაუმჯობესებას.

ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებთან დაკავშირებით, 1.4. სტანდარტში გაცემული იყო რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა იმ საკითხს, რომ ინტერნაციონალიზაციის მთავარი თემები მკაფიოდ არ იყო გათვალისწინებული. ბიზნესის გლობალური ბუნების გათვალისწინებით, მომგებიანი იქნება უფრო მეტი საერთაშორისო პერსპექტივისა და შემთხვევათა შესწავლის (case studies) ჩართვა სასწავლო პროგრამაში. ბიზნესის გლობალური ბუნების გათვალისწინებით“. მან აღნიშნა, რომ თუ ექსპერტებს დასკვნაში მითითებული არ ჰქონდათ შეფასება „სრულად შესაბამისობა“, მაშინ ეს შეიძლება ტექნიკური ხარვეზი ყოფილიყო თარგმანთან დაკავშირებით, ვინაიდან მან დაადასტურა, რომ გაცემულ იქნა რეკომენდაციები იმ ხარვეზების გამოსასწორებლად, რაც არსებობდა აღნიშნულ სტანდარტში, მიუხედავად პროგრამების დადებითი ხასიათისა. ასევე აღნიშნა, რომ "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: „არ არის კონკრეტულად ნახსენები თუ როგორ ხდება ახალი კვლევის შედეგების და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების ინტეგრირება სასწავლო პროგრამაში. კურსის შინაარსის რეგულარულად განახლება დარგის უახლესი მოვლენების ასახვის მიზნით, კიდევ უფრო გააძლიერებს პროგრამების შესაბამისობას და ხარისხს“. ეკა გეგეშიძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დაწესებულება იზიარებდა როგორც რეკომენდაციებს, ისე რჩევებს.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, განმარტება გააკეთა კურიკულუმის რუკასა და შედეგების შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით. მისი აზრით, ორივე პროგრამის შემთხვევაში გადასახედი იყო კურიკულუმის რუკა, რათა მასში ნათლად ყოფილიყო წარმოდგენილი შედეგების განვითარების თანმიმდევრულობა, ვინაიდან კურიკულუმის რუკის მიხედვით, უმეტესი შედეგი, ერთდროულად ვითარდებოდა როგორც გაცნობის, ისე გაღრმავების დონეზე. რაც შეეხება სამაგისტრო საფეხურს, ამ შემთხვევაში შედეგების

განვითარება პირდაპირ გაღრმავებით იწყებოდა. შესაბამისად, მისი რჩევა იყო, რომ მომხდარიყო კურიკულუმის რუკის გადახედვა, რათა შედეგების განვითარება ყოფილიყო გამოკვეთილი.

თამარ ტუფინაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას სამიზნე ნიშნულთან დაკავშირებით. მისი თქმით, შედეგების შეფასების გეგმაში წარმოდგენილია თითოეული შედეგი, კერძოდ, პროგრამის რომელი კომპონენტით იქნება შეფასებული, ასევე რომელ სემესტრში, ვის მიერ და რომელი აქტივობებით შეფასდება. სამიზნე ნიშნულად განსაზღვრულია სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში დადებითი შეფასების 80%-ი. მას აინტერესებდა, რამდენად მისცემდა დაწესებულებას ამგვარი სამიზნე ნიშნული იმისი განსაზღვრების საშუალებას თითოეული შედეგი რა დონით იქნებოდა მიღწეული. მისი თქმით, შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით არ იყო მასზე რეაგირების თარიღი განსაზღვრული. მეოთხე პუნქტში მოცემული ჩანაწერის მიხედვით, თუ გამოვლინდა რეგრესი სამიზნე ნიშნულთან დადარებისას, მოხდება სწავლის შედეგებისა და მიღწევის გზების გადახედვა. მას აინტერესებდა, გადაცდომა რამდენი უნდა ყოფილიყო და თუ ეს არ იქნებოდა განსაზღვრული, მაშინ მასზე როგორ მოხდებოდა რეაგირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ ამ საკითხის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესებულებამ იხელმძღვანელა არსებული მრავალწლიანი გამოცდილებით. რაც შეეხება გადაცდომის საკითხს, დაწესებულებას აქვს ისეთი დოკუმენტი, სადაც ამის შესახებ დეტალურად არის საუბარი. მისი თქმით, უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საბოლოო ნიშნების არსებობა, არამედ შედეგები კურსდამთავრებულების დასაქმების მიზნით. ასევე დამსაქმებლების უკუკავშირიც. აქ საუბარია გონივრულ ვადაზე. პროგრამის სწავლის შედეგების გასვლასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელსა და აკადემიური პერსონალს განსხვავებული ხედვა ჰქონდა, თუმცა პროცესის მიმდინარეობისას ამ საკითხის გადახედვა კიდევ ერთხელ აუცილებლად მოხდება. მან მზაობა გამოხატა საბჭოს წევრების რჩევებისა და მითითებების გათვალისწინების თაობაზე. საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას 5.3 სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებულ შეფასებებს ეხებოდა. მას აინტერესებდა, სასწავლო კურსების შეფასება რა პერიოდულობით ხდებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ, აღნიშნა, რომ კურსებს აფასებდნენ ყოველსემესტრულად. ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს სამეცნიერო ხელმძღვანელების შეფასებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, დასკვნის აღწერილობით ნაწილში მითითებული იყო, რომ დაწესებულება დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებსა და შეფასებებს აკეთებდა. სამეცნიერო შეფასების ნაწილში შესაძლებელია ყოფილიყო ნაკლოვანება, თუმცა არა სასწავლო კურსებთან მიმართებით. მან ექსპერტებს მიმართა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გაეკეთებინათ.

ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტების გამოკითხვები დაწესებულებაში ტარდება, თუმცა ყოველსემესტრული გამოკითხვების შედეგები ორივე პროგრამასთან მიმართებით ექსპერტებისთვის გაზიარებული არ ყოფილა. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სტუდენტების კმაყოფილების კვლევა ჩატარებულია და ანალიზები წარმოდგენილია. საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტებს 1.5.2. რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მისი თქმით, დასკვნაში ეს რეკომენდაცია შემდეგი შინაარსით იყო მოცემული: „რეკომენდებულია, რომ უსდ-მ ინვესტიცია ჩადოს ციფრულ ტექნოლოგიებში, რათა უზრუნველყოს სასწავლო კურსებში უახლესი მასალების ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით კი ფაკულტეტისა და სტუდენტებისთვის უზრუნველყოს ციფრული წვდომა დისტანციურად, უნივერსიტეტის გარედან“. ასევე 3.1 სტანდარტში მოცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტებისთვის უზრუნველყოს წვდომა უახლეს ინგლისურენოვან ლიტერატურაზე.“ მას აინტერესებდა, აღნიშნულ რეკომენდაციებში საუბარი იყო ინგლისურენოვან ლიტერატურის ნაკლებობაზე თუ წვდომის პრობლემაზე.

ექსპერტმა ვაჟა კელიხაშვილმა აღნიშნა, რომ მოცემულ რეკომენდაციებში საუბარი იყო არა ინგლისურენოვანი ლიტერატურის ნაკლებობაზე, არამედ ამ ლიტერატურის ტექნიკურ წვდომაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:00

დასრულების დრო: 15:44

პროგრამა 1

საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ, აკრედიტაციის საბჭომ 1.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში, აქედან გამომდინარე 1.1. კომპონენტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 1.3 კომპონენტში დაემატა კლასტერული რეკომენდაცია. 1.4 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში, აქედან გამომდინარე 1.4. კომპონენტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 1.5 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია (სასურველია უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაზრდა, რათა ხელი შეუწყოს მოწვეული საერთაშორისო პროფესორ მასწავლებლების ლექციებს და უზრუნველყოს აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა, რითაც სასწავლო პროგრამა გლობალური პერსპექტივებით გამდიდრდება) გადავიდა 4.3 კომპონენტის რჩევაში, ხოლო მეორე კლასტერული რეკომენდაცია (რეკომენდებულია, გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად სწავლის შედეგების საერთაშორისო სტანდარტებთან შედარების პრაქტიკის გაძლიერება. აკრედიტაციაზე განსახილველი პროგრამებისთვის ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო რაიმე დამაჯერებელი პასუხი ბენჩმარკინგის პროცესზე, მის შედეგსა და განხორციელებაზე) გადაიტანეს სადოქტორო პროგრამის 5.2. კომპონენტში. 1.5 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია (რეკომენდებულია, რომ უსდ-მ ინვესტიცია ჩადოს ციფრულ ტექნოლოგიებში, რათა უზრუნველყოს სასწავლო კურსებში უახლესი მასალების ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით კი ფაკულტეტისა და სტუდენტებისთვის უზრუნველყოს ციფრული წვდომა დისტანციურად, უნივერსიტეტის გარედან) გადავიდა 4.4 კომპონენტში. საბჭოს აღნიშნულმა შეფასებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

3.1 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია გააუქმა, შესაბამისად, საბჭოს აღნიშნული შეფასებით მესამე სტანდარტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;

საბჭომ 4.1 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია გადაიტანა 4.3. კომპონენტში, ხოლო 4.3 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია გადაიტანა 4.1. კომპონენტში. 1.5 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია გადმოიტანა 4.4 კომპონენტში, საბჭოს აღნიშნულმა შეფასებამ გამოიწვია 4.4 კომპონენტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, ერთი წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამას მიენიჭა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

კლასტერის რეკომენდაციები:

კომპონენტი 1.3

რეკომენდებულია დაინერგოს კოლეგიალური შეფასების უფრო სტრუქტურირებული სისტემა, რომელშიც ჩართული იქნებიან გარე ექსპერტები, რათა რეგულარულად განიხილოთ და უზრუნველყოთ უკუკავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და შეფასების მეთოდებზე.

რეკომენდებულია უფრო სრულყოფილი სისტემის შემუშავება კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკის მონიტორინგისა და ანალიზისთვის, მათ შორის დეტალური ინფორმაციის შეგროვება თანამდებობებსა და მათ სპეციალობებში კარიერულ წინსვლაზე, რათა პროგრამის შედეგები უკეთესად მოერგოს ინდუსტრიის საჭიროებებს. მოწოდებულ ინფორმაციასა და ამჟამინდელ მონაცემებს ამ მხრივ აკლდა სათანადო სიზუსტე.

გადაიხედოს კურიკულუმის რუკა სწავლის შედეგების განვითარების თანმიმდევრულობის კუთხით. განისაზღვროს სამიზნე ნიშნულიდან ცდომილების (უარყოფითი/დადებითი)რიცხოვრივი მაჩვენებელი, რომლის შემთხვევაშიც მოხდება სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევის გზების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

კომპონენტი 4.1

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაძლებლობა, შესაბამისი სწავლების მეთოდებითა და აქტივობებით მიაღწიონ სწავლის შედეგებს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა სათანადო სწავლა-სწავლების მეთოდებში მოამზადოს აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

კომპონენტი 4.2.

რეკომენდებულია, რომ უსდ-მ ტრენინგი ჩაატაროს სამეცნიერო კვლევის/ნაშრომის წერის ხელმძღვანელობის მიმართულებით, რათა დარწმუნდეს, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელებს აქვთ უახლესი ცოდნა.

კომპონენტი 4.3.

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაძლებლობა, შესაბამისი სწავლების მეთოდებითა და აქტივობებით მიაღწიონ სწავლის შედეგებს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა სათანადო სწავლა-სწავლების მეთოდებში მოამზადოს აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

კომპონენტი 5.1

რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ფარგლებში, პროგრამებისა და სასწავლო კურსების შინაარსის შეფასებისას, უნივერსიტეტმა აღმოაჩინოს და თავიდან აიცილოს ხარვეზები: პროგრამების სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში, რათა უკეთესად მოარგოს პროგრამის შედეგები ინდუსტრიის საჭიროებებს და უზრუნველყოს გლობალური კონკურენტუნარიანობა; სავალდებულო ლიტერატურის შერჩევაში, რათა ასახოს დარგის უახლეს მოვლენები, კრედიტების განაწილება და საკონტაქტო საათები, უზრუნველყოს რა მათი ეფექტიანი შესაბამისობა კურსის შინაარსთან და სირთულესთან; ასევე სწავლა/სწავლის მეთოდების შერჩევისას, შეფასების მეთოდებსა და შეფასების რუბრიკებში; სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების განვითარების პროცესში.

კომპონენტი 5.3

რეკომენდებულია მაგისტრანტმა და დოქტორანტმა შეაფასონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება და სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

რეკომენდებულია, რომ ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტებმა შეაფასონ ძირითადი (სავალდებულო) სასწავლო კურსები.

პროგრამის რეკომენდაციები:

კომპონენტი 1.5

რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად, უნივერსიტეტმა საფუძვლიანად გადახედოს კრედიტების განაწილებას და საკონტაქტო საათებს, რათა უზრუნველყოს მათი ეფექტიანი შესაბამისობა კურსის შინაარსთან და სირთულესთან.

კომპონენტი 4.4.

რეკომენდებულია, რომ უსდ-მ ინვესტიცია ჩადოს ციფრულ ტექნოლოგიებში, რათა უზრუნველყოს სასწავლო კურსებში უახლესი მასალების ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით კი ფაკულტეტისა და სტუდენტებისთვის უზრუნველყოს ციფრული წვდომა დისტანციურად, უნივერსიტეტის გარედან.

კლასტერის რჩევები:

კომპონენტი 4.3.

სასურველია უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაზრდა, რათა ხელი შეუწყოს მოწვეული საერთაშორისო პროფესორმასწავლებლების ლექციებს და

უზრუნველყოთ აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა, რითაც სასწავლო პროგრამა გლობალური პერსპექტივებით გამდიდრდება .

პროგრამის რჩევები:

კომპონენტი 1.1.

მიზანშეწონილია სამაგისტრო პროგრამის პირველი და მე-3 მიზნის გათვალისწინებით, პროგრამა ამ მიზნების მიღწევას აპირებს სპეციალური მოდულების გარეშე ისეთ ინოვაციურ თემებზე, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, მონაცემთა ანალიტიკა ან კიბერუსაფრთხოება. ეს სფეროები სულ უფრო გადამწყვეტი ხდება თანამედროვე ბიზნეს ოპერაციებში და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. გარდა ამისა, პროგრამამ უნდა უზრუნველყოს, რომ კურსდამთავრებულები ნამდვილად მზად არიან სწრაფად განვითარებადი ბიზნეს სამყაროსთვის შესაბამისად.

კომპონენტი 1.4.

ინტერნაციონალიზაციის მთავარი საკითხები მკაფიოდ არ არის ასახული. ბიზნესის გლობალური ბუნების გათვალისწინებით, მომგებიანი იქნება უფრო მეტი საერთაშორისო პერსპექტივისა და შემთხვევათა შესწავლის (case studies) ჩართვა სასწავლო პროგრამაში. პერსონალისა და სტუდენტების მობილობის გაზრდამ შეიძლება ხელი შეუწყოს ამ პროცესს.

პროგრამა 2

საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, აკრედიტაციის საბჭომ 1.3 კომპონენტში დაემატა კლასტერული რეკომენდაცია. 1.5 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია (სასურველია უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაზრდა, რათა ხელი შეუწყოს მოწვეული საერთაშორისო პროფესორ მასწავლებლების ლექციებს და უზრუნველყოთ აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა, რითაც სასწავლო პროგრამა გლობალური პერსპექტივებით გამდიდრდება) გადავიდა 4.3 კომპონენტის რჩევაში, ხოლო მეორე კლასტერული რეკომენდაცია (რეკომენდებულია, გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად სწავლის შედეგების საერთაშორისო სტანდარტებთან შედარების პრაქტიკის გაძლიერება. აკრედიტაციაზე განსახილველი პროგრამებისთვის ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო რაიმე დამაჯერებელი პასუხი ბენჩმარქინგის პროცესზე, მის შედეგსა და განხორციელებაზე) გადაიტანეს 5.2. კომპონენტში. საბჭოს აღნიშნულმა შეფასებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

3.1 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია გააუქმა, შესაბამისად, საბჭოს აღნიშნული შეფასებით მესამე სტანდარტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;

საბჭომ 4.1 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია გადაიტანა 4.3. კომპონენტში, ხოლო 4.3 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია გადაიტანა 4.1. კომპონენტში.

1.5 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია (სასურველია უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაზრდა, რათა ხელი შეუწყოს მოწვეული საერთაშორისო პროფესორ მასწავლებლების ლექციებს და უზრუნველყოთ აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა, რითაც სასწავლო პროგრამა გლობალური პერსპექტივებით გამდიდრდება)

გადავიდა 4.3 კომპონენტის რჩევაში, ხოლო მეორე კლასტერული რეკომენდაცია (რეკომენდებულია, გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად სწავლის შედეგების საერთაშორისო სტანდარტებთან შედარების პრაქტიკის გაძლიერება. აკრედიტაციაზე განსახილველი პროგრამებისთვის ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო რაიმე დამაჯერებელი პასუხი ბენჩმარქინგის პროცესზე, მის შედეგსა და განხორციელებაზე) გადაიტანეს 5.2. კომპონენტში. საბჭოს აღნიშნულმა შეფასებამ გამოიწვია 5.2 კომპონენტის შეფასება და ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

კლასტერის რეკომენდაციები:

კომპონენტი 1.3

რეკომენდებულია დაინერგოს კოლეგიალური შეფასების უფრო სტრუქტურირებული სისტემა, რომელშიც ჩართული იქნებიან გარე ექსპერტები, რათა რეგულარულად განიხილოთ და უზრუნველყოთ უკუკავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და შეფასების მეთოდებზე.

რეკომენდებულია უფრო სრულყოფილი სისტემის შემუშავება კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკის მონიტორინგისა და ანალიზისთვის, მათ შორის დეტალური ინფორმაციის შეგროვება თანამდებობებსა და მათ სპეციალობებში კარიერულ წინსვლაზე, რათა პროგრამის შედეგები უკეთესად მოერგოს ინდუსტრიის საჭიროებებს. მოწოდებულ ინფორმაციასა და ამჟამინდელ მონაცემებს ამ მხრივ აკლდა სათანადო სიზუსტე.

გადაიხედოს კურიკულუმის რუკა სწავლის შედეგების განვითარების თანმიმდევრულობის კუთხით. განისაზღვროს სამიზნე ნიშნულიდან ცდომილების

(უარყოფითი/დადებითი)რიცხოვრივი მაჩვენებელი, რომლის შემთხვევაშიც მოხდება სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევის გზების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

კომპონენტი 4.1

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაძლებლობა, შესაბამისი სწავლების მეთოდებითა და აქტივობებით მიაღწიონ სწავლის შედეგებს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა სათანადო სწავლა-სწავლების მეთოდებში მოამზადოს აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

კომპონენტი 4.2.

რეკომენდებულია, რომ უსდ-მ ტრენინგი ჩაატაროს სამეცნიერო კვლევის/ნაშრომის წერის ხელმძღვანელობის მიმართულებით, რათა დარწმუნდეს, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელებს აქვთ უახლესი ცოდნა.

კომპონენტი 4.3.

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაძლებლობა, შესაბამისი სწავლების მეთოდებითა და აქტივობებით მიაღწიონ სწავლის შედეგებს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა სათანადო სწავლა-სწავლების მეთოდებში მოამზადოს აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

კომპონენტი 5.1

რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ფარგლებში, პროგრამებისა და სასწავლო კურსების შინაარსის შეფასებისას, უნივერსიტეტმა აღმოაჩინოს და თავიდან აიცილოს ხარვეზები: პროგრამების სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში, რათა უკეთესად მოარგოს პროგრამის შედეგები ინდუსტრიის საჭიროებებს და უზრუნველყოს გლობალური კონკურენტუნარიანობა; სავალდებულო ლიტერატურის შერჩევაში, რათა ასახოს დარგის უახლესი მოვლენები, კრედიტების განაწილება და საკონტაქტო საათები, უზრუნველყოს რა მათი ეფექტიანი შესაბამისობა კურსის შინაარსთან და სირთულესთან; ასევე სწავლა/სწავლის მეთოდების შერჩევისას, შეფასების მეთოდებსა და შეფასების რუბრიკებში; სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების განვითარების პროცესში.

კომპონენტი 5.3

რეკომენდებულია მაგისტრანტმა და დოქტორანტმა შეაფასონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება და სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

რეკომენდებულია, რომ ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტებმა შეაფასონ ძირითადი (სავალდებულო) სასწავლო კურსები.

პროგრამის რეკომენდაციები:

კომპონენტი 1.1

სადოქტორო პროგრამის მიზნები ხელახლა უნდა ჩამოყალიბდეს, რადგან ზოგიერთი დასახელებული მიზანი არ არის ფორმულირებული, როგორც პროგრამის მიზნები. ეს მიზნები საჭიროებს ხელახლა ფორმულირებას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოწოდებული რჩევების და რეკომენდაციების შესაბამისად.

კომპონენტი 1.4.

სადოქტორო პროგრამებმა ასევე უნდა მოამზადონ უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლები/პროფესორები, რაც ნიშნავს, რომ მათ უნდა შეიტანონ სწავლების თანამედროვე მეთოდები დოქტორანტურის სავალდებულო კურსებში.

კომპონენტი 5.2.

რეკომენდებულია, გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად სწავლის შედეგების საერთაშორისო სტანდარტებთან შედარების პრაქტიკის გაძლიერება. აკრედიტაციაზე განსახილველი პროგრამებისთვის ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო რაიმე დამაჯერებელი პასუხი ბენჩმარქინგის პროცესზე, მის შედეგსა და განხორციელებაზე.

კომპონენტი 5.3

რეკომენდებულია, რომ ჩატარდეს უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან შედარება/შემუშავდეს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ბენჩმარქინგის დოკუმენტი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოსაყენებლად.

რეკომენდებულია, რომ პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის პერსონალთან თანამშრომლობით და არსებული მეთოდოლოგიის გამოყენებით შეიმუშავოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ ანგარიში.

კლასტერის რჩევები:

კომპონენტი 4.3.

სასურველია უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაზრდა, რათა ხელი შეუწყოს მოწვეული საერთაშორისო პროფესორმასწავლებლების ლექციებს და უზრუნველყოს აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა, რითაც სასწავლო პროგრამა გლობალური პერსპექტივებით გამდიდრდება .

პროგრამის რჩევები:

კომპონენტი 1.1.

სადოქტორო პროგრამის მიზნები ხელახლა უნდა ჩამოყალიბდეს, რადგან ზოგიერთი დასახელებული მიზანი არ არის ფორმულირებული, როგორც პროგრამის მიზნები. ეს მიზნები საჭიროებს ხელახლა ფორმულირებას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოწოდებული რჩევების და რეკომენდაციების შესაბამისად.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ მიღებული გადაწყვეტილებები ძალაში შესულიყო დღევანდელი დღით. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა წარმოდგენილი შუამდგომლობა.

მეორე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის (ინგლისურენოვანი)" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი)" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის (ინგლისურენოვანი)" საბაკალავრო, "ბიზნესის

ადმინისტრირება - ფინანსების” საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები (ინგლისურენოვანი)” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადეს დიანა მჭედლიშვილმა და ქეთევან ნანობაშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, მ. აბდულ რაუფი (M. Abdul Rauf), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მოხსენება გააკეთა პროგრამების მიხედვით იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც ასახული იყო დასკვნაში. მისი თქმით, პირველ, მეორე, მეშვიდე და მერვე პროგრამებთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ გაცემულა, თუმცა მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე პროგრამებს მიმართ გაიცა ისეთი რეკომენდაციები, რომელთა უმეტესობა ეხებოდა ტექნიკური შეცდომების გასწორებას. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ „მენეჯმენტის” და „მარკეტინგის” როგორც ქართულენოვან, ისე ინგლისურენოვან პროგრამებთან დაკავშირებით იდენტური საკითხები გამოიკვეთა და საბოლოო ჯამში პროგრამები ოთხ სტანდარტთან მიმართებით სრული შესაბამისობით, ხოლო ერთ სტანდარტთან მიმართებით მეტწილად შესაბამისობით შეფასდა. მან აღნიშნა, რომ სტანდარტების შეფასებაზე დიდი გავლენა იქონია ექსპერტების მიერ ისეთი საკითხების შესწავლამ, როგორებიცაა პროგრამების სტრუქტურა, შინაარსი, რესურსი და კურიკულუმი. ბოლოს დასძინა, რომ პროგრამების განვითარების მიზნით გაიცა რჩევები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

პრორექტორი, ნინო ჯოჯუა, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფთან თანამშრომლობამ ნაყოფიერად, კოლეგიურად და კონსტრუქციულად ჩაიარა. ბიზნესის სკოლის ადმინისტრაციულმა დირექტორმა, ნინო ტალიკაძემ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 1.4. და ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც პროგრამის შინაარსთან იყო დაკავშირებული, ეხებოდა ტექნიკურ საკითხს, რომელიც ამ დროისათვის უკვე გამოსწორებულია. რაც შეეხება რეკომენდაციას, უახლესი ქართულენოვანი წყაროების სილაბუსებში გამოყენებასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ დაწესებულება იაზრებდა გაცემული რეკომენდაციის მნიშვნელობას და ეთანხმებოდა მას. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ცდილობს, რომ ლიტერატურა მუდმივად იყოს განახლებული და სილაბუსები მოიცავდეს უახლეს ქართულენოვან აკადემიურ წყაროებს, მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური და თანამედროვე წყაროები ამ მიმართულებით შეზღუდულია, ხოლო უცხოენოვან თარგმანს კი გარკვეული დრო სჭირდება. მისი თქმით, სტუდენტებისათვის საჭიროების შემთხვევაში ხდება კურსის განმახორციელებელი პერსონალის მხრიდან,

ადმინისტრაციის ჩართულობით, საჭირო მასალის მიწოდება. ასევე ბიბლიოთეკაში უკვე ხელმისაწვდომია ინგლისურენოვანი ლიტერატურა. რაც შეეხება რეკომენდაციას, რომელიც აკადემიური პერსონალის ზრდასთან დაკავშირებით იყო, განაცხადა, რომ დაწესებულება იზიარებდა მის მნიშვნელობას. მისი თქმით, დაწესებულება საუნივერსიტეტო რეგულაციებით აკმაყოფილებს არსებულ შიდა ზღვრულ მოთხოვნებს. აკრედიტაციის პროცესში გამოცხადებული იყო აკადემიური კონკურსი, რომლის ფარგლებშიც მოხდა აკადემიური პერსონალის დაკომპლექტება. დაემატა შვიდი აკადემიური პერსონალი, რამაც კიდევ უფრო გაამყარა მდგრადობის საკითხი ამ მიმართულებით. სტუდენტების მიზანია მაღალი ხარისხის განათლების მიღება. შესაბამისად, უნივერსიტეტი მზად არის გააგრძელოს მჭიდრო კავშირი ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

რაც შეეხება ზოგად რეკომენდაციას, რომელიც ინტერნაციონალიზაციის საკითხს ეხებოდა, ნინო ჩალაბაშვილმა აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაცია დაწესებულებისათვის სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს და ყოველთვიურად იზრდება თანამშრომლობის მემორანდუმები ახალ პარტნიორებთან. საერთაშორისო უნივერსიტეტის დეპარტამენტი მუდმივ რეჟიმში აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას გაცვლითი პროგრამების და საზაფხულო სკოლის შესახებ. ამ ეტაპზე გაზაფხულის სემესტრის ბიზნეს სკოლისათვის ხუთი „Erasmus +“-ის , ხოლო ორმხრივი გაცვლითი შეთანხმების ფარგლებში თექვსმეტი სტუდენტია მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა არის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ ენიჭებოდა „ბიზნესის ადმინისტრირების“ ბაკალავრი. ასეთ შემთხვევაში „ბიზნესის ადმინისტრირების“ უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან სრულ შესაბამისობაში ყოფნის მიზნით, ყველა წარმოდგენილ სპეციალობაზე „სტრატეგიული მენეჯმენტი“ უნდა იყოს სავალდებულო კურსად შეთავაზებული. მას აინტერესებდა, რა აზრის იყო დაწესებულება ამ საკითხთან დაკავშირებით.

პრორექტორმა, ნინო ჯოჯუამ, აღნიშნა, რომ როდესაც დაწესებულება მუშაობდა წარმოდგენილ პროგრამებზე, მათ გაითვალისწინეს დარგობრივი დოკუმენტი, მათ შორის ბიზნესის ადმინისტრირებისა და დეტალური სფეროს მიმართულებით, თუმცა დაწესებულება ეთანხმებოდა გიორგი ღაღანიძის შენიშვნას და მოახდენდა აღნიშნული საკითხის დაფარვას შესაბამისი კურსებით.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტებს 3.1.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების საკითხს. მას აინტერესებდა, კონკრეტულად რა იგულისხმებოდა ინტერნაციონალიზაციის საკითხის გაძლიერებაში.

სტუდენტ-ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციის გაცემის მიზანი იყო სწორედ ის, რომ დაწესებულების სტრატეგია ყოფილიყო საერთაშორისო და ჰქონოდა ბევრი გაცვლითი პროგრამა, თუმცა ბოლო წლების ანალიზი ცხადყოფს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვიურად იზრდება სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა, ამავდროულად იკლებს იმ სტუდენტების რაოდენობაც, რომლებიც მონაწილეობდნენ გაცვლით პროგრამებში. შესაბამისად, ამ რეკომენდაციის გაცემის მიზანი იყო ის, რომ მეტი დაინტერესება მოეხდინა დაწესებულებას სტუდენტებისათვის გაცვლითი პროგრამების.

პრორექტორმა ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ როგორც პანდემიის პერიოდში, ისე მიმდინარე სემესტრებში ხორციელდებოდა დისტანციური კურსები, რომლებიც გარკვეულწილად ზრდიდა რაოდენობას იმ სტუდენტებისა, რომლებიც მონაწილეობდნენ გაცვლით პროგრამაში. მისი თქმით, ექსპერტები ვიზიტისას შეხვდნენ სტუდენტების მცირე ჯგუფს, რომელთაგან სულ რამდენიმე იყო გაცვლითი პროგრამით წასული საზღვარგარეთ. შესაბამისად, მხოლოდ მცირე ჯგუფთან გასაუბრებით მიღებული ინფორმაცია ვერ იქნება რეალური სურათის ამსახველი.

„საერთაშორისო ოფისი“ ახორციელებს მნიშვნელოვან სამუშაოს ამ მიმართულებით განვითარებისთვის. ბიზნესის სკოლის სტუდენტები მონაწილეობას იღებენ გაცვლით პროგრამებში.

ნინო ჩალაბაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას სტუდენტებთან მხოლოდ მეილის საშუალებით არ აქვს კომუნიკაცია, არამედ პერიოდულად მართავს შეხვედრებს. ასევე აღნიშნა, რომ საერთაშორისო მემორანდუმების რიცხვი ბოლო პერიოდში გასამმაგდა და ამ ეტაპზე შვიდი სტუდენტი წავიდა საზღვარგარეთ „Erasmus +“-ის ფარგლებში. ასევე ოცზე მეტი ახალი გამოცხადება იყო დაწესებულების მხრიდან მიმდინარე სემესტრში.

გიორგი ლაღანიძის კითხვასთან დაკავშირებით, ანა გვრიტიშვილმა დააზუსტა საკითხი და განმარტა, რომ მზად არიან განვითარებისაკენ მიმართული რჩევები გაითვალისწინონ. მისი თქმით, არსებობს ორი დარგობრივი დოკუმენტი, კერძოდ, „ბიზნეს ადმინისტრირებისა“ და ცალკე ე.წ. „ინდივიდუალური“ (ფინანსების მიმართულება, საბუღალტრო აღრიცხვა, დაბეგვრა და ა.შ.) შესაბამისად, ცენტრთან კონსულტაციების შედეგად, ინდივიდუალური დარგობრივი მახასიათებელი დოკუმენტის მიხედვით, შესაძლებელია რომ კურსდამთავრებულს მიენიჭოს „ბიზნესის ადმინისტრირების“ ბაკალავრი „ფინანსებში“, „აღრიცხვასა და დაბეგვრაში“ და ა.შ. შესაბამისად, ინდივიდუალური დარგობრივი დოკუმენტის შემთხვევაში „სტრატეგიული მენეჯმენტი“ არ იყო მოთხოვნილი ყველა სპეციალობისათვის. საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს 1.4.1. და 1.5.3 რჩევასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, კონკრეტულად რას გულისხმობდნენ ექსპერტები აღნიშნულ რჩევაში. მისი თქმით, 2.2.1. რჩევა დასკვნაში შემდეგი შინაარსით იყო მოცემული: „სასურველია, ორგანიზაციებთან გაფორმებულ ყველა მემორანდუმში და ხელშეკრულებაში მიეთითოს სტუდენტების რაოდენობა, რომელთა მიღებასაც შეძლებენ აღნიშნული ორგანიზაციები“. მას აინტერესებდა, რატომ იყო ეს რჩევა და არა რეკომენდაცია. ასევე 4.1.1. რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობდა, რომ პროგრამების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გაზრდილიყო აკადემიური პერსონალის რაოდენობა, პროგრამის მდგრადობას რა კუთხით ექმნებოდა საფრთხე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ 1.4.1. რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, რომ გარკვეულ სასწავლო კურსებს ჰქონდეთ წინაპირობები, მაგალითად „მაღალი დონის მონაცემთა ანალიზის“ სასწავლო კურსს აუცილებელია ჰქონდეს წინაპირობა მათემატიკური მიმართულებით, რომელიც შექმნის ვერტიკალური განვითარების შესაძლებლობას. გაცემული რჩევა ეხებოდა სწორედ ასეთი ტიპის წინაპირობების განსაზღვრის საკითხს. 1.5.3. რჩევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ვინაიდან ექსპერტების მხრიდან არ იყო რაიმე ისეთი მიგნება აღმოჩენილი, რომელიც შექმნიდა გარკვეულ საფრთხეს სტანდარტების შეუსაბამობისა, სწორედ ამიტომ არ იქნა გაცემული რეკომენდაციის სახით. საგულისხმოა, რომ დოკუმენტების დამუშავებისას, გარკვეულ კურსებში, იყო მსუბუქი გადაფარვები. შესაბამისად, სასურველი იქნებოდა პროგრამის ხელახალი განხილვისას, ამგვარ გადაფარვებს აღარ ჰქონოდა ადგილი. თუ ადგილი ექნება საჭირო გადაფარვებს იგი შეიძლება დარჩეს, ხოლო თუ არასაჭირო გადაფარვები იქნება, მაშინ აუცილებლად უნდა გასწორდეს. 2.2.1. რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს რჩევა იმიტომ არ გაიცა რეკომენდაციის სახით, რომ სტანდარტი ამას არ მოითხოვდა, თუმცა სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ თუ რამდენი სტუდენტის მიღების რესურსი აქვს ორგანიზაციას, რომელთანაც თანამშრომლობს დაწესებულება. რა თქმა უნდა, ეს უნდა განისაზღვროს კომპანიების სიდიდისა და რესურსების მიხედვით.

დავით ცირამუამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ყველა ბიზნესის პროგრამაზე პრაქტიკის კომპონენტი იყო სავალდებულო. შესაბამისად, მემორანდუმებს დიდი ყურადღება ეთმობა. დაწესებულებას აქვს 470-ზე მეტი აქტიური მემორანდუმი. მას შემდეგ, რაც სტანდარტით სავალდებულო გახდა რაოდენობების მითითება, ყველა ახალ მემორანდუმში დაკორექტირდა სტანდარტთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით. ბიზნესის სკოლასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ის აკმაყოფილებდა სტუდენტთა იმ რაოდენობის მიღებას, რომელიც დაწესებულებას ჰქონდა განსაზღვრული. მესამე კურსიდან ყველა სტუდენტს აქვს

შესაძლებლობა გაიაროს პრაქტიკის კომპონენტი. მემორანდუმებში, რომლებშიც არ იყო მითითებული სტუდენტთა მიღების რაოდენობა, ითვლებოდა, რომ მისაღები იყო ერთი ადგილი. არსებულ მემორანდუმებში, რომელთა უმეტესი მათგანი ავტომატურად გრძელდება, ადგილების დაზუსტებას არ საჭიროებს, რადგან დაწესებულება არსებული მემორანდუმების ფარგლებით უზრუნველყოფდა პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას სხვადასხვა დაწესებულებებში.

ექსპერტმა ნათია დადელიშვილმა აკადემიურ პერსონალის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაციის საფუძველი გახდა შეფარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, მაგალითად „ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის“ პროგრამაში შეფარდება იყო 14/58 - უარყოფითი პროპორცია, რაც განაპირობებდა იმას, რომ ძირითადი კომპონენტები ისწავლებოდა ექვსი ან შვიდი, რიგ შემთხვევებში, მოწვეული ლექტორის მიერ. უფრო პროფილური საგნების მიმართულებით აკადემიური პერსონალის რაოდენობა უნდა გაიზარდოს, რადგან 4-5 იყო პროფესორების რაოდენობა. ასოცირებული პროფესორების რაოდენობა არის რვიდან ათამდე, ხოლო ასისტენტის ორი-სამი. დანარჩენი კი მოწვეული სახით არის წარმოდგენილი. შესაბამისად, სწორედ ეს გახდა საფუძველი გაცემული რეკომენდაციისა. საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, განმარტა რომ აკრედიტაციის სტანდარტი 2.2. მიუთითებს იმაზე, რომ მემორანდუმის ტიპის დოკუმენტებში აუცილებელია ზუსტად იყოს განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობა.

დავით ცირამუამ პროგრამების მდგრადობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამა მეტად პრაქტიკული იყო. შესაბამისად, სირთულეს წარმოადგენს სხვა უნივერსიტეტიდან აკადემიური პერსონალის მოძიება, რომელიც ფლობს დოქტორის ხარისხის შესაბამის კვალიფიკაციას. მან აღნიშნა, რომ მოწვეული პერსონალის რაოდენობის ასეთი პროპორცია აფილირებულ და აკადემიურ პროფესორთან მიმართებით პროგრამების მდგრადობის ნაწილს ვერ დააყენებდა კითხვის ნიშნის ქვეშ. ასევე ექსპერტებს, რომ ენახათ დენადობის მაჩვენებელი, დარწმუნდებოდნენ, რომ მრავალწლიანი ურთიერთობა აკავშირებდა დაწესებულებას მათთან. იქიდან გამომდინარე, რომ ისინი არ ფლობდნენ აკადემიურ ხარისხს ვერ გახდებოდნენ აფილირებული პროფესორები.

პრორექტორმა ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ რაოდენობრივი მონაცემები აკრედიტაციის სტანდარტებით არ იყო განსაზღვრული. საგულისხმოა, რომ დაწესებულებას აქვს მდგრადობის და ხარისხის უზრუნველყოფის მაჩვენებლები, რომლებიც შესაბამისი დოკუმენტით განსაზღვრულია. რამდენიმე მოწვეული პროფესორი უნივერსიტეტის დაარსების დღიდან მუშაობს. შესაბამისად, ამ კუთხით არ განისაზღვრება პროგრამის მდგრადობის საკითხი.

